ნომერი: 12-01172432325-60
თარიღი: 31.08.2017 16:08
ვადა: 30.09.2017

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 10-01172432175 განცხადების თარიღი: 31.08.2017
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

გზავნილი სილვა არუთინოვის ტარიელ ჯარიაშვილის აიდა გევორქოვის და სხვა საჩივარზე ბრძ 1-1872

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაგზავნა ფოსტით: არა

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 12-01172432325-60
31.08.2017 : 16:08
ქ. თბილისი 0160, ზ.შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-01172432175**

თარიღი: **31.08.2017**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად Gგეგზავნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ №19/01171001567-01, №19/01171001608-01, №19/0117142393-01 და №19/0117142410-01 ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 აგვისტოს №1-1872 ბრძანების სახით.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი სოფია გიგანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-1872

„18" აგვისტო 2017წ.

სილვა არუთინოვის, ტარიელ ჯარიაშვილის, აიდა გევორქოვისა და სხვათა ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 10 აპრილს და 22 მაისს სილვა არუთინოვმა და სხვებმა წარმოადგინეს №19/01171001567-01, 19/01171001608-01, 19/0117142393-01 და №19/0117142410-01 ადმინისტრაციული საჩივრები, ამასთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან 2017 წლის 10 მაისის N19/01171301088-01 სარეგისტრაციო ნომრით გადმოიგზავნა ჟანა არუთინოვის 2017 წლის 28 აპრილის N5191 ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის №3098949 ბრძანებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, 2017 წლის 3 მაისს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორები: სილვა არუთინოვი, მარინა არუთინოვი, ლუბოვ კოგანი, ქეთევან მთიულიშვილი, დავით შპეტიშვილი, სილვა არუთინოვის წარმომადგენელი ჟანა არუთინოვი და ბადრი მაჭარაშვილი; მოწინააღმდეგე მხარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი სალომე არჩვაძე; დაინტერესებული მხარე - შპს „ცენტრალ ჯორჯია პლიუსის" დირექტორი მეჰმეთ ჰასთოლანი და მისი წარმომადგენლები: ანნა გელენავა-ობლიშვილი და მურათ გუფრანარი.

ადმინისტრაციულ საჩივრებში აღნიშნულია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

სამსახურის გასაჩივრებული ბრძანება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და სახეზეა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადებული საჩივრის ავტორები დაეთანხმნენ საჩივარში დაფიქსირებულ გარემოებებს, დააზუსტეს მოთხოვნა და განმარტეს, რომ ითხოვენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15თებერვლის N3098949 ბრძანების ბათილად ცნობას. ასევე, დამატებით აღნიშნეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა მშენებლობის ნებართვის გაცემისა და პროექტის შეთანხმებისას არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, არ იქნა გათვალისწინებული და შესწავლილი საპროექტო ობიექტის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი სახლების მდგრადობის საკითხი და ამასთან, სამსახურს არ შეუფასებია თუ რა გავლენას მოახდენდა უკვე ავარიულ შენობა-ნაგებობებზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

მოწინააღმდეგე მხარის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობას და არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

დაინტერესებული მხარე დაეთანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლის პოზიციას.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ სილვა არუთინოვის, ტარიელ ჯარიაშვილის, აიდა გევორქოვისა და სხვათა ადმინისტრაციული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის №3098949 ბრანებით დაკმაყოფილდა მეჰმედ ჰასთოღანის 2016 წლის 30 ნოემბრის №AR1460383 განცხადება და შეთანხმდა ქ. თბილისში, საბარგოს დასახლება, მიქელაძის ქუჩა N6-ში მდებარე, შპს „ცენტრალ ჯორჯია პლიუსის“ საკუთრებაში არსებულ, N01.17.08.074.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

საჯარო რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ №01.17.08.074.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ცენტრალ ჯორჯია პლიუსი“, რომლის მომიჯნავედ განლაგებულია №01.17.08.074.019, №01.17.08.074.010, №01.17.08.074.009 და №01.17.08.074.005 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. საჩივრის ავტორთაგან ქეთევან მთიულიშვილი წარმოადგენს №01.17.08.074.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, №01.17.08.074.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა სილვა არუთინოვი, №01.17.08.074.009-ის მარინა არუთინოვი და №01.17.08.074.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის - ტარიელ ჯარიაშვილი.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-3 მუხლის, მე-60 პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამუშაო არის „მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება სამშენებლო მოედნის მომზადების, შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის, კონსერვაციის ან/და შეკეთების დროს.“ ამავე მუხლის 43-ე პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა არის „განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა, როგორც წესი, იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება); II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა.“

ამასთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დამკვეთი უფლებამოსილია, მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურისაგან განსხვავებით, აირჩიოს ორსტადიიანი ადმინისტრაციული წარმოება“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტი ერთად. ამ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო აწარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტადიების ადმინისტრაციულ პროცედურებს და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.“

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის N3098949 ბრძანება წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემის შემთხვევას, ვინაიდან აღნიშნული ბრძანება ეხება როგორც

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას ასევე, მშენებლობის ნებართვის გაცემას, რომელიც აღჭურავს დაინტერესებულ მხარეს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების წარმოების უფლებამოსილებით.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო ინტერესებს განეკუთვნება: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს“.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში სხვა დანარჩენთან ერთად საჯარო ინტერესებს განეკუთვნება ტერიტორიების უსაფრთხო განვითარება.

ამასთან, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ეს კანონი განსაზღვრავს: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირების (შემდგომ – მოსახლეობა) და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს“. სამოქალაქო უსაფრთხოების ცნების ქვეშ, ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრება ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს: საგანგებო სიტუაციის პრევენციას და საგანგებო სიტუაციის შედეგების მიტიგაციას; სახანძრო უსაფრთხოებას, მათ შორის, ხანძრის პროფილაქტიკის ორგანიზებას, მის ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებას; სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას და ა.შ.

ამავე კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებული ობიექტებია:

მრავალფუნქციური შენობები და კომპლექსები, სავაჭრო ცენტრები, კომპლექსები და ჰიპერმარკეტები, საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრები 300 მ2-ზე მეტი ფართობით, 100 და მეტადგილიანი სასტუმროს, ტურისტული ბაზის, სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და კემპინგის შენობა-ნაგებობები".

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებული და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების" მე-2 მუხლის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, „მრავალფუნქციურია შენობა, რომელიც მოიცავს გეგმარების ხერხებით ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ან მეტ ფუნქციურ-გეგმარებით კომპონენტს".

საქმის მასალებში წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, ასაშენებელი ობიექტი თავისი ფუნქციურ-გეგმარებითი კომპონენტის გათვალისწინებით წარმოადგენს მრავალფუნქციურ შენობას, აღნიშნულის თაობაზე სადავო ბრძანებაში დაფიქსირებულია პირდაპირი მითითება, კერძოდ შეთანხმებულია მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და იგი მოიცავს როგორც საცხოვრებელ, ისე კომერციულ ფართებს. დასახელებულ გარემოებაზე დაყრდნობით საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობა მოაზრებული უნდა იქნას სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებულ ობიექტთა შორის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ნორმატიულ-ტექნიკური მუშაობა – ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც მოიცავს ზედამხედველობის ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირების, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობას სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე), აგრეთვე მათ მიერ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდის და სათანადო აქტის გაფორმებას, სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის (დადასტურების) ორგანიზებას და განხორციელებას".

ამავე დებულების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, „ზედამხედველობის ორგანოებში, მშენებლობის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი სამსახურის წარდგინებით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორები სამოქმედო ტერიტორიის საზღვრებში

აწარმოებენ: სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში განხილვას და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ წერილობითი დასკვნის მომზადებას".

საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულების (მრავალფუნქციური) გათვალისწინებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური ვალდებული იყო მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩაერთო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რაც თავის მხრივ ემსახურება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ანუ უმაღლესი ღირებულების დაცვას. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, აქტის მომზადებისა და გამოცემის პროცედურის დარღვევა მიჩნეული უნდა იქნას არსებით დარღვევად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია იმგვარი გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც როგორც უკვე აღინიშნა ემსახურებოდა ისეთი სიკეთის დაცვას, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების დადგენა ხორციელდება შემდეგი პრინციპებით: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება; უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა".

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური ვალდებულია მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ქმედების განხორციელებისას დაიცვას მათ შორის, მშენებლობის ნებართვის გაცემის ისეთი ზოგადი პრინციპები, როგორიცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება და უზრუნველყოს ამისათვის უსაფრთხო გარემო. განსახილველ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს არ ყოფილა გამოკვლეული ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება,როგორიცაა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცულობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება უნდა შეფასდეს, როგორც მატერიალური, ასევე ფორმალური თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული ორგანო დამატებით განმარტავს, რომ აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია მის შინაარსთან, მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობასთან, არსებული მოცემულობის/ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დადგენასა და სწორად შეფასებასთან, ხოლო, ფორმალური კანონიერება - ამ აქტის მომზადებისა და გამოცემის პროცედურასთან, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, შესაძლოა ატარებდეს როგორც არსებით, ისე არაარსებით ხასიათს.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისას გამოვლენილი იქნა სადავო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის №3098949 ბრძანების მოქმედ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობა. არსებითად არის დარღვეული აქტის მომზადებისა და გამოცემის პროცედურა, არ დასტურდება საპროექტო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია მისაღები გადაწყვეტილების შინაარსთან და შედეგთან, ასევე მიღებული გადაწყვეტილების მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობასთან. დასახელებულ გარემოებაზე დაყრდნობით საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ არსებობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის №3098949 ბრძანების ბათილად ცნობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების,

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების“ შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს სილვა არუთინოვის, ტარიელ ჯარიაშვილის, აიდა გევორქოვისა და სხვათა 2017 წლის 10 აპრილს, 10 მაისს და 22 მაისს წარმოდგენილი №19/01171001567-01, 19/01171001608-01, 19/0117142393-01, N19/01171301088-01 და №19/0117142410-01 ადმინისტრაციული საჩივრები.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის N3098949 ბრძანება.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
4. ბრძანების ასლები გაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

ბრძანების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01172442542**

თარიღი: **01.09.2017**

ადრესატი:
ზურაბი წიკლაური
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - სამსახურის უფროსი მოვალეობის შემსრულებელი

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 10 აპრილს და 22 მაისს სილვა არუთინოვმა და სხვებმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინეს #19/01171001567-01, 19/01171001608-01, 19/0117142393-01 და 19/0117142410-01 ადმინისტრაციული საჩივრები, რომლითაც ასაჩივრებდნენ სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებას, რომლიტაც ქ. თბილისში, საბარგოს დასახლებაში, მიქელაძის ქ. #6-ში შეთანხმდა არქიტექტურილუ პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

დავის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ სამსახური ვალდებული იყო, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩაერთო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რაც თავის მხრივ, ემსახურება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ანუ უმაღლესი ღირებულების დაცვას.

ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #57-ე დადგენილებაში განმტკიცებულ სამშენებლო სამართლოს ზოგად პრონციპებზე, რომლის თანახმადაც, მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების დადგენა ხორციელდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფით, ასევე, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფით.

ზემდგომის მითითებით, სამსახური ვალდებული იყო მითითებული პრინციპები დაეცვა და გამოეკვლია ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, როგორიცაა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცულობა.

დავის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის მომზაქდებისა და გამოცემის პროცედურის დარღვევა მიიჩნია არსებითი სახის დარღვევად, შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 აგვისტოს #1-1872 ბრძანებით დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული საჩივრები, ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ვინაიდან, საკითხის განხილვა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 აგვისტოს #1-1872 ბრძანების აღსრულება არ შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების კომპეტენციაში, გთხოვთ, საკითხი განსახილველად გადასცეთ ამავე სამსახურის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადების განყოფილებასა და III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო და სამართლებრივი აქტების მომზადების

განყოფილებას.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილება - იურისტი



სალომე არჩვაძე